



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება: 32.32220456

თარიღი: 14/02/2022

**მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელების საერთო კრებების და ამომრჩეველთა კონსულტაციების ინიცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ი“ პუნქტის, 85-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „თ“ პუნქტის, 854 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე 13 და მე- 15 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 08 თებერვლის # 64 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩეველთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში და ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09 - დან - 18 - საათამდე, 2022 16 თებერვლიდან პერიოდში.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩეველთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებებში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ (ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად

განისაზღვრონ: ა) დავით მულაძე (ტელ: 599 03 09 05; ელ.ფოსტა: davitmuladze@gamil.com) ბ) შალვა აბრამიშვილი (ტელ: 595 64 44 34; ელ.ფოსტა: 7.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს როინ დეკანოიძეს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.  
დანართი: 13 ( ცამეტი) ფურცელად.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

